ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

წესდება

თბილისი
2019

მუხლი 1. იურიდიული სტატუსი

1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ”ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი” (შემდგომში “უნივერსიტეტი”) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად;

1.2 უნივერსიტეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ტიპის ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და სხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს;

1.3 უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა:
ქართულად - „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“, ინგლისურად - „GIPA - Georgian Institute of Public Affairs“;

1.4 უნივერსიტეტის მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მ. ბროსეს ქუჩა # 2;

1.5 უნივერსიტეტის სამართლებრივი ფორმაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;

1.6 უნივერსიტეტი არ არის წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

მუხლი 2. უნივერსიტეტის მისია და საქმიანობა

2.1 უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი მიზნებია:

2.1.1 თანამედროვე ცოდნის მქონე მაღალკვალიფიციური პროფესიონალების აღზრდა;

2.1.2 საგანმანათლებლო პროექტების შემუშავება და დაფინანსების უზრუნველყოფა;

2.1.3 საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება განათლების ყველა დონეზე. მათ შორის პროფესიული სწავლების, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დანერგვა და განხორციელება;

2.1.4 უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმებისთვის ხელის შეწყობა;

2.1.5 უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

2.1.6 სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის წარმართვა და მეცნიერების სხვადასხვა დარგების განვითარების ხელშეწყობა;

2.1.7 თანამშრომლობის დამყარება საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების სასწავლო დაწესებულებებთან და სამეცნიერო წრეებთან.

2.1.8 თანამშრომლობა საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან საგანმანათლებლო და სხვა პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებით.

2.2. უნივერსიტეტი საწესდებო მიზნების მისაღწევად, რექტორის გადაწყვეტილებით, ასევე ეწევა სხვა დამხმარე საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება წესდებით გაცხადებულ მიზნებს და საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 3. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები:

3.1 უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია:

3.1.1 გამგეობა;
3.1.2 რექტორი;
3.1.3 აკადემიური საბჭო.

<u>მუხლი 4. გამგეობა</u>

4.1 უნივერსიტეტის გამგეობა ახორციელებს უნივერსიტეტის განვითარების ზოგადი მიმართულებების განსაზღვრას;

4.2 მხოლოდ გამგეობის უფლებამოსილებას მიეკუთვნება:

4.2.1. ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტის წესდებაში;
4.2.2. უნივერსიტეტის რეორგანიზაციის განხორციელება;
4.2.3. გამგეობის თავმჯდომარის არჩევა და განთავისუფლება;
4.2.4. უნივერსიტეტის რექტორის არჩევა და განთავისუფლება;
4.2.5. უნივერსიტეტის ფინანსური დოკუმენტაციის შემოწმება;

4.3 გამგეობა შედგება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 9 წევრისგან, რომლებიც უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ აირჩევიან 5 წლის ვადით, მათი საგანმანათლებლო ხედვების გათვალისწინებითა და 4.4. პუნქტში მოცემული პრინციპების შესაბამისად.

4.4. უნივერსიტეტის რექტორი არის გამგეობის წევრი დაკავებული თანამდებობის საფუძველზე (ex officio). გამგეობის წევრებიდან არანაკლებ 2 წევრი უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი; არანაკლებ 1 წევრი უნდა იყოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, არანაკლებ 2 წევრი შესაძლოა იყოს უნივერსიტეტთან აფილირებული ნებისმიერი პირი (მათ შორის მოწვეული ლექტორი, აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, კურსდამთავრებული და სხვა).

4.5 გამგეობა, როგორც წესი, იკრიბება წელიწადში ორჯერ. გამგეობის რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს: გამგეობის თავმჯდომარეს, უნივერსიტეტის რექტორს, გამგეობის სრული შემადგენლობის სულ მცირე ორ მესამედს.

4.6 გამგეობის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მის სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

4.7 გამგეობის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით, გარდა ამ წესდების 4.2.1, 4.2.2, 4.2.4 პუნქტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა.

4.8 ამ წესდების 4.2.1, 4.2.2, 4.2.4 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღებისათვის გამგეობის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ორი მესამედის თანხმობით.

4.8[1] უნივერსიტეტის რექტორი არ შეიძლება არჩეულ იქნას გამგეობის თავმჯდომარედ. გარდა ამისა, უნივერსიტეტის რექტორი არ მონაწილეობს როგორც ამ წესდების 4.2.3, 4.2.4, 4.2.5 პუნქტებით გათვალისწინებული, ასევე სხვა ნებისმიერი იმ საკითხის განხილვისა და კენჭისყრის პროცესში, რომელიც მის მიერ დაკავებული აღმასრულებელი თანამდებობიდან გამომდინარე შესაძლოა ქმნიდეს ინტერესთა კონფლიქტს.

4.9 გამგეობის სხდომებს ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარე, რომელსაც გამგეობის შემადგენლობიდან ირჩევენ გამგეობის წევრები ხმათა უმრავლესობით 5 წლის ვადით. გამგეობის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში გამგეობის სხდომას ხელმძღვანელობს გამგეობის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით არჩეული წევრი.

მუხლი 5. რექტორი

5.1 უნივერსიტეტის უმაღლესი აღმასრულებელი ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის რექტორი. იგი ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ყოველდღიურ საქმიანობას. რექტორის არყოფნის შემთხვევაში რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დაკისრების წესი შესაძლებელია განისაზღვროს უნივერსიტეტის დებულებით.

5.2 მხოლოდ რექტორის უფლებამოსილებას მიეკუთვნება:

5.2.1 უნივერსიტეტის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიის დაგეგმვის ორგანიზება და დამტკიცება;

5.2.2 უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ფარგლებში რესურსების მოძიება და მათი ეფექტური და გამჭვირვალე ხარჯვის ადმინისტრირება;

5.2.3 უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პროცესის სტრატეგიული დაგეგმვის უზრუნველყოფა;

5.2.4 უნივერსიტეტის წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობაში;

5.2.5 უნივერსიტეტის სკოლების, ცალკეული პროგრამების და სტრუქტურული ერთეულების როგორც სასწავლო, სამეცნიერო, ისე საგრანტო საქმიანობის კოორდინირება და მართვა;

5.2.6 უნივერსიტეტის სახელით ნებისმიერი გარიგებების და შეთანხმებების დადება ან ნებისმიერი პირისთვის უფლების მინიჭება გარიგებების ან შეთანხმებების დასადებად;

5.2.7 უნივერსიტეტის ბიუჯეტის დამტკიცება;

5.2.8 უნივერსიტეტის შინაგანაწესის (საჭიროების შემთხვევაში) და დებულების დამტკიცება, რომელიც მათ შორის მოიცავს უნივერსიტეტის სტრუქტურის განსაზღვრას;

5.2.9 კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნება, კაპიტალშენატანის განხორციელება და დირექტორის (ხელმძღვანელის) დანიშვნა/გათავისუფლება;

5.2.10 სხვა უფლებამოსილებების განხორციელება, რომელიც არ მიეკუთვნება გამგეობის ან აკადემიური საბჭოს კომპეტენციას.

5.3 უნივერსიტეტის რექტორს ხუთი წლის ვადით ირჩევს გამგეობა ამ წესდების მე-4 მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 6. აკადემიური საბჭო

6.1 უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას;

6.2 უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო შედგება ხმის უფლების მქონე შემდეგი წევრებისგან:

6.2.1 უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული სკოლების დეკანები;

6.2.2 რექტორის გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ასევე რექტორის მრჩეველ(ებ)ი, რომლებიც ინიშნებიან/შეირჩევიან მათი საგანმანათლებლო ხედვების გათვალისწინებით;

6.2.3 უნივერსიტეტის 3 (სამი) აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი რომლებიც აირჩევიან 3 წლის ვადით, საბჭოს დანარჩენი წევრების ხმათა უმრავლესობით, კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო ხედვების გათვალისწინებით;

6.3 ამ მუხლის 6.2.3 პუნქტით განსაზღვრული კანდიდატების დასახელების უფლება აქვს უნივერსიტეტის დებულებით გათვალისწინებულ - ნებისმიერი სკოლის დეკანს, უნივერსიტეტის ცალკეული პროგრამების და დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ცალკეულ წარმომადგენლებს, უნივერსიტეტის სტუდენტურ საინიციატივო ჯგუფებს.
6.4 აკადემიური საბჭოს დებულებას და აკადემიური საბჭოს წევრებს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი;
6.5 აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი, რომელიც სარგებლობს საბჭოში ხმის უფლებით.
6.6 აკადემიური საბჭოს ფუნქციებია:

6.6.1 უნივერსიტეტის მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის დანერგვის ხელშეწყობა;
6.6.2 აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის, და პირობების განსაზღვრაში მონაწილეობის მიღება და რეკომენდაციების შემუშავება;
6.6.3 სკოლების მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების განხილვა და დანერგვის ხელშეწყობა;
6.6.4 უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების შემუშავება და დამტკიცება;
6.6.5 სასწავლო პროცესის და სამეცნიერო კვლევების მართვაში მონაწილეობა;
6.6.6 გამგეობის წევრების არჩევა/დანიშვნა, ასევე ვადამდე გათავისუფლება
6.6.7 უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა;
6.6.8 უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

6.7 აკადემიური საბჭო, როგორც წესი, იკრიბება სამ თვეში ერთხელ. აკადემიური საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა შესაძლებელია უნივერსიტეტის რექტორის მოწვევის საფუძველზე. აკადემიური საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია თუ აკადემიურ საბჭოს ესწრება აკადემიურ საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. აკადემური საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით.
6.8 აკადემური საბჭო გამგეობის წევრებს ირჩევს საბჭოს სხდომაზე დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით.

<u>მუხლი 7. უნივერსიტეტის სტრუქტურა</u>

7.1 უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებია უნივერსიტეტის სკოლები, კვლევითი დეპარტამენტი, ადმინისტრაცია და უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული სხვა სტრუქტურული ერთეულები.
7.2 უნივერსიტეტის სტრუქტურას შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი უნივერსიტეტის დებულებით.
7.3 უნივერსიტეტის რექტორს უფლება აქვს შექმნას უნივერსიტეტის სათათაბირო ორგანოები.

<u>მუხლი 8. უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია</u>

8.1 უნივერსიტეტის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.2 ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის შემთხვევაში მხოლოდ გამგეობას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ლიკვიდაციის შესახებ, კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

9.1. ამ წესდების ძალაში შესვლიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე უფლებამოსილება შეუნარჩუნდეს ამ წესდების ძალაში შესვლამდე არსებული წესით დანიშნულ უნივერსიტეტის რექტორს. ამავე პერიოდში უნივერსიტეტის რექტორი შეასრულებს ხელმძღვანელი პირისა და ყველა მმართველი ორგანოს უფლებამოსილებას.